



ბერჯონი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

15 მაისი

საუბრაო

2025 წლი

№20(9386)

ფასი 40 თეთრი

„ქართული ოცნების“ ყრილობა

7 მაისს გაიმართა „ქართული ოცნების“ მორიგი ყრილობა. პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე აირჩიეს.

დაამტკიცეს აგრეთვე პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განახლებული შემადგენლობა:

პირველი იმედი: ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე, შალვა პაპუაშვილი, გიორგი მგელიშვილი, გიორგი შოლასი, თეა წულუკიანი, პაპიკა გოგიაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, გიორგი ბერიძე, ნიკოლოზ სამხარაძე, გიორგი კარიშვილი, დიმიტრი სამხარაძე, სულხან თაყაიშვილი, ნინო ნიკოლაძე.



ეკონომიკური ზრდის შედეგები

მარტში საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 9% შეადგინა, პირველი კვარტალის საერთო მაჩვენებელი 9,3%-ია, ამავე პერიოდში საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 120 მლნ ლარის გადაჭარბებით, რაც ეკონომიკური ზრდის შედეგია, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ეკონომიკურ გუნდს მიღწეული შედეგებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ გაგრძელება მუშაობა ეკონომიკური ზრდის კიდევ უფრო დასაჩქარებლად.

ირაკლი კობახიძემ ასევე ყურადღება გაამახვილა მიგრაციის მონაცემებზე და განაცხადა, რომ მთავრობის ამოცანაა, მაქსიმალურად დააბრუნოს ემიგრანტები სამშობლოში.

პრემიერ-მინისტრი ტურიზმის სფეროში არსებულ დადებით დინამიკასაც გამოეხმაურა. მთავრობის მეთაურის თქმით, საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯები მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,3%-ით გაიზარდა.

„ჩვენი პოლიტიკური ოპორტუნიზმები წინასწარმეტყველებდნენ საქართველოში ეკონომიკურ კრიზისს და ცდილობდნენ, საზოგადოებას შეჰქმნოდა ალქმა, რომ ქვეყანა ეკონომიკური კრიზისისკენ წავიდოდა. მინდა გავიხსენო ერთ-ერთი მათი წარმომადგენლის კომენტარი, რომელიც აცხადებდა 17 იანვარს, რომ სამ თვეში ლარის კურსი დოლართან მიმართებით იქნებოდა დაახლოებით 3,1; გავიდა ეს სამი თვე, ცოტა მეტიც და 2,75-ის ფარგლებშია ლარის კურსი. წლის წრილობი ეკონომიკის 2-პროცენტისი კლება იყო ნაწინასწარმეტყველებული.“



ლემბი ამ კონკრეტული ყოფილი პოლიტიკოსის და ან უკვე ექსპერტის მხრიდან და პირველ კვარტალში ჩვენ გვაქვს 9,3 პროცენტი ეკონომიკური ზრდა; მისი პროგნოზი იყო ინფლაცია 6 პროცენტი და მეტი - და ინფლაცია 6 პროცენტი - მაღალი ზღვრის ფარგლებში. ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ ვერ შესრულდებოდა საგადასახადო შემოსავლების გეგმა და ეს გეგმა პირველ კვარტალში 120 მილიონ ლარზე მეტის გადაჭარბებით შესრულდა. ძალიან სამსუხაროა, როდესაც კონკრეტული ადამიანები სრულიად შეგნებულად ცდილობენ ქვეყანაში უარყოფითი მოლოდინების შექმნას, ნიჭილიზმის დათესვას. ამას აქვს, რა თქმა უნდა, კონკრეტული პოლიტიკური მიზნები. ეს არის დაკვეთა, რომელსაც ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები ასრულებენ. საბედნიეროდ, მათი არც პროგნოზები სრულდება და არც გეგმები ხორციელდება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ არა ასეთი ადამიანების, არამედ ჩვენი საზოგადოების მოლოდინები. ჩვენი საზოგადოების ინტერესებშია, ეკონომიკა რაც შეიძლება სწრაფად გაიზარდოს, შეიქმნას დამატებით ახალი

სამუშაო ადგილები, გაიზარდოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, გვექონდეს ფისკალური კონსოლიდაციის მაღალი დონე. ყველა მიმართულებით ძალისხმევას არ დავიშვებთ იმისათვის, რომ გაგრძელდეს ეკონომიკური პროგრესი ჩვენს ქვეყანაში, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკურ გუნდს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ეკონომიკურ გუნდთან ერთად, ამ ყველაფერში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ უწყებებს.

„მშვიდობის, უსაფრთხოების, სტაბილურობის გარეშე ვერ იქნება ვერავითარი ეკონომიკური წინსვლა. ამ კუთხით, განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის შინაგან საქმეთა სამინისტროს, მინისტრს, ბატონ ვახტანგ გომელაურს. გასული, რა პროცესები გამოვიარეთ გასული თვეების და რამდენიმე წლის განმავლობაში და რომ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მინისტრის, თითოეული პოლიციელის მოწოდების სიმალლეზე დგომა, ჩვენ ვერ შევინარჩუნებდით სტაბილურობას და, შესაბამისად, არ გვექნებოდა არც ასეთი ეკონომიკური ზრდის მონაცემები“, - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა წარმატებები უსურვა იუსტიციის, ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების ახალ მინისტრებს - **პაატო სალაიას, რევაზ სოსხაძეს და კახა გულედანს**, რომლებიც მთავრობის სხდომაზე პირველად დაესწრნენ.

ირაკლი კობახიძემ ასევე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს ევროპის გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვება და ინდივიდუალურ ასპარეზობაში მიღწეული წარმატება მიულოცა.

საფხვ-ჯავახეთს ახალი სახელმწიფო

რეგულირება



საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრმა **პანაბერ გულუაშვილი** სამცხე-ჯავახეთის ახალი სახელმწიფო რწმუნებული **ზაალ გულაშვილი** ადგილობრივი ხელისუ-

ფლების წარმომადგენლებსა და სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარუდგინა.

მინისტრმა ყოფილ გუბერნატორს, **ბაიში ამირხანაშვილს** განუცხადებინა მადლობა მადლობა გადაუხადა და **ზაალ გულაშვილს** მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რეგიონების განვითარება და სოციალურ-ეკონომიკური დონის გაძლიერება ხელისუფლების პრიორიტეტია.

პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულად **ზაალ გულაშვილი** 6 მაისს დანიშნა.

ბორჯომში ფაშისგან გადარჩევის 80 წლისთავი აღინიშნა.



გამარჯვების სკვერში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და საზოგადოების წევრები შეიკრიბნენ და **მემორიალი გვირგვინებით** შეამკეს.

მერმა, **ოთარ არბოლიშვილმა**, მეორე მსოფლიო ომში ქართველთა თავდადებაზე ისაუბრა.

„**ფაშისგან გამარჯვების დღეს ვულოცავ ომის ვეტერანებს, მათ ოჯახის წევრებს. მათი წვლილი განუზომელია კაცობრიობის წინაშე**“, - განაცხადა ბორჯომის მერმა.

გამარჯვების დღესასწაულის მნიშვნელობაზე გაამახვილეს

ყურადღება გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორმა, ბატონმა **ვალერიან ლომიძემ** და საზოგადოებრივი დარბაზის თავმჯდომარემ, **ზაურ ლაზარაშვილმა**.

მამა ალექსანდრე დალუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა „ძმთა სასაფლაოზე“ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი და გმირთა საფლავები ყვავილებით შეამკეს.

ზეიმი დაამშვენა კულტურის სახლთან არსებულმა მომღერალთა გუნდებმა

რკინიგზაზე ყრილობა

2025 წლის 6 აპრილს, ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს რკინიგზაზე პროფესიული კავშირის მორიგი XVII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

პროფკავშირის 7,500-მდე წევრის მიერ, კრებებსა და კონფერენციებზე არჩეული 126 დელეგატიდან ყრილობას ესწრებოდა 111 დელეგატი, გამგეობის წევრები, საკონტროლო-სარევიზიო კომისია და მოწვეული სტუმრები.

ყრილობაზე, სრული უმრავლესობით, მომდევნო ოთხი წლის ვადით კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი **გელა გულაშვილი**, გამგეობის 12 წევრი და საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრები.

ყრილობაზე, პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ხუთ პროფმუშაკს პრემიის ლაურეატის ნოდება მიენიჭა.

ყრილობის მუშაობაში, მონაწილეობა მიიღეს 7 სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორი ორგანიზაციებისა და კონფედერაციების წევრმა დელეგაციებმა, რომლებმაც საქართველოს რკინიგზაზე პროფესიული კავშირის მიმართ გამოხატეს სრული მხარდაჭერა სამომავლო საქმიანობაში წარმატებუ-



ბის მისაღწევად და ზაფხვით აღნიშნეს, რომ საქართველოს რკინიგზაზე პროფესიულ კავშირის საერთაშორისო პროფკავშირების წევრ ორგანიზაციებს მორის ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია უკავია.

საქართველოს რკინიგზაზე პროფესიული კავშირი 120 წლის ისტორიის მანძილზე მუდმივად იდგა და აგრძელებს რკინიგზაზე პროფესიულ კავშირის საერთაშორისო პროფკავშირების წევრ ორგანიზაციებს მორის ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია უკავია.

მიმდინარეობს საკურორტო სოფლების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბორჯომი-ტბა-ცემის საავტომობილო გზის 5,5 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

სარეაბილიტაციო მონაკვეთი საკურორტო სოფლების - სადგურის, ტბისა და ცემის დასახლებულ ტერიტორიაზე გადის. ამ მონაკვეთ-

ზე გამართული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე დამსვენებლისათვის.

პროექტის შესაბამისად მიმდინარეობს გზის ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესების, საგზაო სამოსის რეაბილიტაციის, კოუვეტებისა და არსებული ხე-

ლოვნური ნაგებობების (მიწების, ტროტუარების, სანიაღვრე ქსელის) განახლების, გზის საფარი ნაწილის გაგანიერების და ადგილობრივ გზებთან მიერთებების სამუშაოები. ასევე, ტრანსპორტისა და ფეხით მოსაარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად წესრიგდება მოსახლეობის ეზოებში შესასვლელი, ინჟინერული საფარი ნაწილი და ეწყობა საგზაო ნიშნები.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5,2 მილიონი ლარით ფინანსდება.

ბორჯომი-ტბა-ცემის საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2022 წელს დაიწყო, რომლის ფარგლებშიც დღემდე რეაბილიტაცია ჩაუტარდა გზის 6,5 კმ-იან მონაკვეთს.

მძიმე ისტორიული წარსული უნდა გასაგებდეს



2025 წლის იანვრიდან საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნა, რომლის ხელძღვანელად პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი **თაა წულუკიანი** დაინიშნა.

კომისია სწავლობს 2003-2013 წლებში მოქმედი რეჟიმის, პოლიტიკური თანამდებობებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს.

სხდომა პირდაპირი ეთერით მიმდინარეობს ტელევიზიის რამდენიმე არხზე, - **კომისიის დასკვნა უნდა გახდეს საფუძველი, პოლიტიკური პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ საერთოდ აკრძალვის და მისი წევრების პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორების საკითხს, რათა ველარასდროს დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, ამასთან პოლიტიკურ პროცესშიც ველარ მიიღონ მონაწილეობა.**

საგამოძიებო კომისიაში 400-ზე მეტი განაცხადია შესული, რომლებიც ეხება უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, ბიზნესისა და ქონების წართმევას, პატიმართა ნაშენებს, არაადამიანურ მოპყრობას და მათ სულიერად განადგურებას, მუქარას, შანტაჟს და სხვა უკანონო ქმედებებს.

დაზარალებული ადამიანები სამართლიანობის აღდგენას და კომპენსაციას ითხოვენ, ამიტომაც შეიქმნა ეს საგამოძიებო კომისია, რომელიც მოვალეა კონკრეტული პირები სამართლიანად, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯონ.

მძიმე ისტორიული წარსული დაგვიტოვა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ. იმდენად შემზარავია ტელეეკრანებზე გამოსული ადამიანების აღიარებები, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს დამნაშავე ხელისუფლების უკანონო ქმედებები. ძნელია, უყურო ემოციისა და ცრემლის გარეშე. თვითონ ეს ადამიანები უზომო ტკივილს და სიმწარეს განიცდიან, მათთვის საშინელებაა იმ უმძიმესი წუთების გახსენება. შემადრწუნებელი იყო მშობლების გამოსვლა, რომლებიც უდანაშაულო შვილების ვერაგულ მკვლელობაზე საუბრობდნენ, ასეთი კი, როგორც ცნობილია, 130-მდეა. - ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ დიქტატურული რეჟიმის შედეგი.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები და რიგითი წევრები, იმის მაგივრად, რომ ახლა მაინც მიხვდნენ და აღიარონ დანაშაული, ბოდიში მოიხადონ, თვითონ შეიძლება პირადად ის სისაძაგლეები არ ჩაუდენიათ, მაგრამ მათი პარტიის წევრების ნამოქმედარს ხომ მთელი საქართველო ხედავდა.

„ნაციონალური მოძრაობის“

ცხრანლიანი მმართველობის პერიოდი უნდა შეფასდეს მკაცრად, სამართლიანად, მმართველ პარტიად მოსვლის შანსი აღარ ჰქონდეთ და ამიტომაცაა რომ ისწრაფვიან და უნდათ, ახლაც, გარე ძალების დახმარებით ხელისუფლებაში დაბრუნებას.

ოპოზიციური პარტიები კვლავ შეტევაზე გადადიან.

„ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი ლიდერი **ხაბეიშვილი** „ტვ პირველზე“ გამოდის და აცხადებს, - „არავითარი ადგილობრივი არჩევნები, ჩვენ, „ქართულ ოცნებას“ ომი უნდა გამოვუცხადოთ და ძალა დაუპირისპიროთ. უფრო მეტიც, ქალბატონი **სალომე ზურაბიშვილი** პირდაპირ ამბობს, „მიზანს რომ მივალნიოთ, სისხლი უნდა დაიღვროს“.

საზღვარგარეთიდან შემოსულ ფულს ხელისუფლებამ ყადაღა დაადო, რათა ახალგაზრდები აარიდოს უბედურებას. ოპოზიციური პარტიები სწორედ საზღვარგარეთიდან შემოსული თანხით აბრეყებენ ახალგაზრდებს და ქრთამის სანაცვლოდ, რასაც ეტყვიან, ისე იქცევიან. და თუ დღეს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, განვითარებული მოვლენების გამო ციხეში ზის ახალგაზრდობა, სწორედ საზღვარგარეთიდან დაფინანსებული დანაშაულში მნიშვნელოვანი, გაბრიყვებული ახალგაზრდები არიან.

ოპოზიცია დამარცხდა, მაგრამ აღიარება არ სურთ, როგორც ევროპას არ სურს დამარცხება აღიაროს, უკრაინასთან მიმართებაში. რუსეთმა უკრაინასთან ომი მოიგო. ევროპული სახელმწიფოები კვლავ ცდილობენ ომის გახანგრძლივებას უკრაინაში. ამ ომში უპირებენ საქართველოს შეთრევას.

ევროპის ქვეყნებს რუსეთ-უკრაინის ომის იდეა თავზე დაემხოთ. საქმე ისე წავიდა, ახლა ევროპულ ქვეყნებს უკრაინის დახმარებაც აღარ შეუძლიათ, თავიანთი თავი გაჭირვებითა და კრიზისში იმყოფებიან, ამიტომ ცდილობენ გაახანგრძლივონ ომი უკრაინაში, ჩირადაც არ უღირთ უკრაინელი ხალხი, რომლებიც ათასობით იღუპებიან და ნადგურდება უკრაინის სოფლები და ქალაქები.

ჩვენს რადიკალურ ოპოზიციას „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“, ბევრი მოინდომეს და ცოტაც აღარ რჩება. ადგილობრივ არჩევნებში, ძალიან მეფეება, მოგების შანსი ჰქონდეთ. ხალხის წინაშე დანაშაულის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს.

ხალხს მშვიდობა, განვითარება სჭირდება და არა მუდამ დაძაბულობა და ქაოსი.

ნათელა იჩაიძე

საქმის სიყვარულით მოვლივარ ღლებ

ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლა, უნიჭიერესი პედაგოგების სიმრავლით ყოველთვის გამოირჩეოდა. სკოლაში უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი აღზარდა, რაშიც დამსახურებული წვლილი, სწორედ მათ პედაგოგებს მიუძღვის.

მუსიკის პედაგოგი **ლინა გაპრილენკო** ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა. აქვე დაასრულა რუსული სკოლა და პირველივე წელს ჩაირიცხა მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელში. 62 წელია იგი ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს და ბორჯომის სამუსიკო სკოლაში პედაგოგად მუშაობს. ქალბატონი დინას კეთილსინდისიერი მუშაობისთვის მიღებული აქვს სერტიფიკატები, დიპლომები თუ სხვადასხვა ჯილდოები, მათ შორის ვერცხლის მედალი. მისი მეუღლე, ბორჯომელი როინ ლურსმანაშვილი წარმატებული ფეხბურთელი, პროფესიით მშენებელ-ინჟინერი გახლდათ. ყავს ორი ქალიშვილი, ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი. სამწუხაროდ, მეუღლე ოთხი წლის წინ გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი დინას ცხოვრებაში იყო რთული მომენტები, თუმცა საყვარელმა საქმემ ყველაფერი შეაძლებინა. ასაკის მიუხედავად შესანიშნავად გამოიყურება და სტერეოტიპს, რომ ასაკი მხოლოდ ციფრებია, წამდვილად ამსხვრევს. ქალბატონი დინას წმინდა ნინოს ქუჩაზე, საკუთარ სახლში ვესტუმრე და ვთხოვე საყვარელი საქმიანობისა და ზოგადად, განვლილი ცხოვრების შესახებ ესაუბრა:



● **პირველ რიგში მინდა გითხრა, რომ შესანიშნავად გამოიყურებით. დინას სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გისურვებთ. რაც შეეხება ჩემ შეკითხვას - 62 წელი მართლაც ბევრია იმისთვის, რომ მხოლოდ ერთ საქმეს ემსახუროთ. როგორ მოხდა თქვენი მუსიკასთან დამეგობრება და ვინ იყო თქვენი პირველი მუსიკის პედაგოგი?**

- დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის და იმისთვის, რომ ჩემი პერსონით დაინტერესდით. გაზეთ „ბორჯომის“ ერთგული მკითხველი გახლავართ და კვირიდან კვირამდე უდიდესი მოლოდინით ველოდები გაზეთის ახალ ნომერს. რაც შეეხება თქვენ კითხვას, გიპასუხებთ, რომ 62 წელი წამდვილად ცოტა დრო არ არის. ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი სწორედ მუსიკას და საყვარელ საქმეს მივუძღვენი. ჩემი მუსიკისადმი სიყვარული ჩემი პირველი პედაგოგის დიდი დამსახურებაა. ოფელია მოვსესიანი გახლდათ ადამიანი, რომელმაც მუსიკა შემეყვარა. სწორედ ის გახლდათ ჩემი პედაგოგი როგორც მუსიკალურ სკოლაში, ასევე მუსიკალურ სასწავლებელშიც.

● **როგორი იყო თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები?**

- როდესაც ჩემ მშობლიურ მუსიკალურ სკოლაში მივედი პედაგოგის სტატუსით, უფრო საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის ეტაპი იყო, ანუ შანსი მომცეს თუ როგორ გავართმევდი თავს დაკისრებულ მოვალეობას. რა თქმა უნდა შესანიშნავად გავართვი. თანაც მაშინ, ძალიან ცოტა პედაგოგი ასწავლიდა მუსიკალურ სკოლაში. ჩემი მუსიკისადმი უსაზღვრო სიყვარულმა დღემდე მომიყვანა. მუსიკის პედაგოგობა მთელი ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. სწორედ საკუთარი საქმის სიყვარულით მოვდივარ დღემდე.

● **თქვენთვის, როგორც მუსიკოსისთვის, ვინ არის გამორჩეული კომპოზიტორი?**

- საოცრად მიყვარს ჩაიკოვსკი, მის შემოქმედებას ყოველთვის სიამოვნებით ვასრულებ.

● **მინდა თქვენ ოჯახზეც ვისაუბროთ. მეუღლეს ბორჯომელებისათვის საკმაოდ ცნობილი პირივნება გახლდათ. როდის დაოჯახდით და რამდენად დიდი როლი ჰქონდა მას თქვენს წარმატებაში?**

- მეუღლე გახლდათ როინ ლურსმანაშვილი, ყველასათვის ცნობილი ფეხბურთელი. პროფესიით მშენებელ-ინჟინერი. მისი პროფესია ხშირად ქალაქიდან შორს ყოფნას მოითხოვდა, რადგანაც აქტიურად იყო ჩართული საკუთარ საქმიანობაში. 24 წლის ასაკში შევქმენით ოჯახი. ის ყოველთვის ცდილობდა, რომ მეც არასდროს შემშლოდა ხელი საყვარელ საქმიანობაში. მის გვერდში დგომას ყოველთვის ვგრძნობდი. საოცრად კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა იყო.

● **თუმცა, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გქონდათ ურთულესი პერიოდი, ამაზეც თუ შესაძლებელია რომ ვისაუბროთ.**

- ეს ჩემთვის დღესაც რთულად გასახსენებელია, რადგანაც მეუღლე მოულოდნელად გარდაიცვალა ოთხი წლის წინათ, მქონდა რთული პერიოდი. განსაკუთრებით პირველ პერიოდში აღარ მინდოდა სამსახურში გასვლა, მეგონა რომ ყველაფერი დასრულდა.

თუმცა, მუსიკალური სკოლის დირექტორის, ქალბატონი მარინა ქიტაშვილის გვერდში დგომით, ჩემი საქმისა და მოსწავლეების სიყვარულის დამსახურებით, ისევ დავბრუნდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იმ ურთულესი მდგომარეობიდან ჩემი საქმის სიყვარულმა გამომიყვანა.

● **აუცილებლად მინდა შვილებზეც ვისაუბროთ...**

- მყავს ორი შვილი, ხათუნა და ირმა ლურსმანაშვილები, რომლებმაც ასევე მუსიკალური განათლება მიიღეს. ცხოვრობენ თბილისში, თუმცა საკუთარი პროფესიით არ მუშაობენ. შვილიშვილები, მალხაზ და ნიკა იაკობიძეები, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული და სასტუმროში მუშაობენ. ასევე ნათია ჯავახიძე, რომელიც ირლანდიაში ცხოვრობს, ხოლო მისი ძმა, გიორგი ჯავახიძე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანამშრომელია. მყავს სამი შვილთაშვილი - ლიზა, კირა და ლილა. მართლაც უბედნიერესი დედა და ბებია ვარ.

● **62 წლის მანძილზე უამრავი თაობა აღზარდეთ. როგორ შეაფასებთ წლების წინანდელ თაობას დღევანდელთან?**

- საოცრად პასუხისმგებელია მოსწავლეები მყავდნენ. უყვარდათ ის საქმე, რასაც აკეთებდნენ. დღეს, თაობა შეიცვალა. გამონაკლის შემთხვევებს თუ არ ჩავთვლით, დღევანდელ ბავშვებს არ უყვართ მუსიკა. ხანდახან მგონია, რომ მშობლების დაჟინებული თხოვნით უფრო დადიან, ვიდრე საკუთარი სურვილით.

● **საუბრის ბოლოს მინდა ერთგვარი რჩევა მისცეთ ახალგაზრდებს და იმ ქალბატონებს, ვისაც საკუთარი საქმე აქვთ...**

- დღევანდელი ახალგაზრდები საოცრად თამამები არიან, რაც ძალიან არ მომწონს. მგონია, რომ ეს მშობლებიდან და ზოგადად, ოჯახებიდან მოდის. ვისურვებდი, უფრო მეტად თავშეკავებულები და რაც მთავარია, ზრდილობიანი იყვნენ. ზრდილობიანი ადამიანი ყოველთვის დაფასებულია. ზომიერი სიმკაცრე აუცილებელია, რაც შემდგომში აუცილებლად დადებით ნაყოფს გამოიღებს. ქალბატონებს კი ვურჩევდი, რომ საკუთარი საქმე უყვარდეთ, რადგანაც აკეთებდნენ იმას, რაც გიყვარს, წამდვილად მნიშვნელოვანია.

ესაუბრა ნაზო მელიძე

ბახსოვთ პიონერთა ბანაკში გაბარებული დღეები?

2022 წელს საქართველოს მთავრობამ კურორტების განვითარების სააგენტო დააარსა და შესასწავლ და მოსაწეს-რიგებელ ობიექტებად, საკურორტო ზონებში მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკები აღადგინა.

არცთუ შორეულ წარსულში, როგორც გადმოცემით ირკვევა, პიონერთა ბანაკები კლიმატურად უნიკალურ და ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ფასდაუდებელ ზონებში შენდებოდა და ყველა მათგანი უსაფრთხოების თვალსაზრისით გეომორფოლოგიურად ზედმიწევნით შესწავლილი და გამოკვლეული იყო. ვერცერთ მათგანს ვერ იხილავდით მენეჯერსა და პოტენციური წყალდიდობების ზონებში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ისე როგორც წარმოება-დანესებულებები, ყოფილი პიონერთა ბანაკებიც გაიძარცვა, მათ შორის ბევრი შენობის კედლები დღესაც სავალალო მდგომარეობაშია.

ახალდაბაში რამდენიმე პიონერთა ბანაკიდან დღეს მხოლოდ „შევარდენი“ ფუნქციონირებს და დამსვენებლებს მასპინძლობს კიდევ, ხოლო პიონერთა ბანაკი „ნაპერწყალი“, მედიცინის მუშაკთა ბანაკი „დილა“, კავშირგაბმულობის ბანაკი „ჩირაღდანი“ - ისევე



ელოდება ხმაურიან დილას, შემეცნებით დღეს და სასიამოვნო საღამოებს.

ყოფილი პიონერთა ბანაკი „შევარდენი“ ტყით გარშემორტყმულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ადგილმდებარეობა - სუფთა ჰაერისა და მყუდრო გარემოს გამო იდეალურ პირობებს ქმნიდა და ქმნის ბავშვების დასასვენებლად.

ბანაკს ჰქონდა კარგად მოწყობილი საცხოვრებელი კორპუსები, სპორტული მოედნები, საკონცერტო დარბაზი, სასაბურთო სივრცეები.

ბავშვები მუდმივად მონაწილეობდნენ სხვადასხვა აქტივობებში - სპორტულ შეჯიბრებებში, შემოქმედებით ნრეებში, ახალდაბის ტყეებსა და მდინარეების მიმდებარე ტერიტორიებზე მოწყობილ

ლაშქრობებში..

და როგორც ყველა პიონერულ ბანაკში, აქაც დიდი ყურადღება ეთმობოდა იდეოლოგიურ აღზრდას - პიონერული ფიცი, დროშის აღმართვის ცერემონიალი და ყოველ საღამოს კოცონის გარშემო გამართული პიონერული შეკრებები მეტად ხალისიანი და მინაარსიანი იყო.

ცნობილი მოვლენების გამო, 90-იან წლებში ყველა ბანაკში ფუნქციონირება შეწყვიტა. მისი შენობები ნაწილობრივ დანგრეული. გაპარტახებული და მიტოვებულია, ზოგი კი უკვე კერძო მფლობელობაშია, მაგრამ ტერიტორიები დღემდე ტყიანი და ბუნებრივად ლამაზი დარჩა.

მთელი შეგნებული კაცობრიობა ბავშვებზე ზრუნავს. საგულისხმო ფაქტია, როგორ

სასწრაფოდ გახსნეს რიგმა ევროპულმა ქვეყნებმა ბავშვთა ბანაკები პანდემიის დასრულებისთანავე, უპირველესად, მათ სწორედ ბავშვების ჯანმრთელობასა და სტრესიდან გამოყვანაზე იზრუნეს.

გვაფიქრებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული კარგად ესმოდათ წარსულში და უამრავი ბავშვთა ბანაკი იყო უნიკალურ საკურორტო ადგილებში. თითქმის ყველა მათგანი იმდენად მყარად ნაშენია, რომ საგანგებო ნგრევის მიუხედავად, ბევრი ისევ ურყევად დგას და ბევრი მენობა დღესაც შემორჩენილია. ასე რომ, ავარიულობაზე შემონგების შემდეგ, ზოგიერთის გამოყენება დღესაც შეიძლება და სწორედ ამავე ადგილებში შეიძლება სრულიად ახალი, გამაჯანსაღებელი ნაგებობების აგება. ბევრი ბანაკიდან კი მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი, დროთა განმავლობაში ამ შენობებს მოსახლეობა სპეციალურად ანგრევდა და სამშენებლო მასალა მინ მიჰქონდა.

სხვა ბავშვთა დასასვენებელ ზონებს რაც შეეხება, იქ მხოლოდ ქვების გორებია დარჩენილი. ზოგიერთი, ალბათ, გაყიდულია კიდევ და ახალი მეპატრონეც ჰყავს.

კლიმატური ზონების უნიკალურობის გამო, ისევ იგივე მიზნისთვის უნდა აღდგეს და

ფუნქციონირება უნდა დაიწყოს ახალგაზრდულმა ბანაკებმა. ამ ბანაკებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში.

სამაგიეროდ, შემოთავაზებებს ხშირად შესვდებით სოციალური ქსელის დახმარებით, როგორ ინვესტორები პირები ახლადშექმნილ ბანაკებში ბავშვებს და ერთი კვირით დასვენებას სთავაზობენ.

თუ გავითვალისწინებთ, რამდენი ბავშვი რჩება არადადებულ დასვენების გარეშე, ინტერნეტს მიჯაჭვული, მინ გამოკეტილი, უფრო ნათლად დავინახავთ ბანაკების მნიშვნელობას და უფრო მკაფიოდ ვიტყვი თათსობით მშობლის სათქმელს, რომ ბანაკების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თაობათა აღზრდა-განვითარებისათვის. ყველაფერი ახალი, კარგად დაზინყებული ძველია.

მინანერი. ცალკე საუბრის თემა ახალდაბაში არსებული სკოლა-ინტერნატი. რომელსაც შესანიშნავი სამი კორპუსი ჰქონდა, სასწავლო, საცხოვრებელი და სასაბურთო. დღეს აღარცერთი აღარაა, ვინ დაანგრია იმასაც ვერ დაადგენ. ნუთუ ამ შენობების გამოყენება არაა შესაძლებელი?!

იზა იანვარაშვილი

პიონერთა ბორჯომის ისტორია

სატიკოზა ტივი შავკარ!

(გაგრძელება)

XIX საუკუნის 40-იან წლებში გორის რაიონის სოფელ ყელქცეულიდან, გლეხი პეტრე რაზმაძე დასახლებულა სოფელ ზანავში (ბორჯომის რ-ნი). 10 შვილი შექმნია - 6 ვაჟი და 4 ქალიშვილი. უფროსი ვაჟი, გლახო, მეტივე ყოფილა, შვილები - კოტე და სერგოც მეტივეები გამხდარან. ზაქარია - დურგალი, ნინია - ტყის მჭრელი; როგორც ჩანს, ერთი ოჯახიდან სამი მეტივე, ორი დურგალი, ორი ტყის მუშაკი ყოფილა.

დვირის მცხოვრები კუჭუხიძეების ოჯახის ისტორიაც საინტერესოა. ოჯახის მეთაური, ივანე, სასულიერო პირი ყოფილა, ქუთაისიდან დვირში გადმოსულა, მას ოთხი ვაჟი ჰყოლია, რომელთაგან ორს - ლუკას და პეტრეს მეტივეობა დაუწყიათ, მესამე ვაჟს, მიხას - ხის დამუშავება, ხოლო ივანეს შვილიშვილები - იოსები, ნიკალა და ლადო მეტივეები გამხდარან.

როგორც ჩანს, ბორჯომის ხეობის ხე-ტყით მდიდარმა რეგიონმა გავლენა მოახდინა გლეხთა დასახლებაზე.

აღსანიშნავია მესამე მაგალითიც: - გლეხი გიორგი კურტანიძე ხარაგაულის რაიონის სოფელ ლორეშიდან, დვირში დასახლებულა, მისი შვილები - ნიკო, პეტრე და ანდრო „ტყის კაცები“ ყოფილან, მეოთხე შვილი - გიორგი, მეტივედ მუშაობდა; ხოლო არჩილი, ვასილი და გიორგი, დვირიდან აწყურში გადასულან და მინის დამუშავება დაუწყიათ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აწყურელები, „მამულით“, ანუ მინით ცხოვრობდნენ, ხოლო ხეობელები - ტყით.

1897 წლის №49 ჟურნალი „კვალი“, სოფელ ახალდაბაზე წერდა: - „**აქაურები, დიდი და პატარა, ყველა მეტივეები არიან და ეს შრომა კარგ შემოსავლის აძლევს ხალხს. ჭირნახული მხოლოდ კარგ მოსავლიან წელიწადს მოყავთ სამყოფი, რადგან საყანე მინა ძლიერ ცოტა აქვთ, ისიც უზარდისი, წრეულს ახალ მოსავლამდის სამეგრელოდან მოტანილი სიმინდით გამოკვებულ თავი, არც ახალი ჭირნახულით გაიხარესო**“.

XIX საუკუნის 80-იან წლების ცნობით ს. მაჩაბელი წერს: - **ტივის გამზადება და თბილისში ჩატანა, 100 მანეთად გაიყიდება, ხე-ტყის საფარისათვის 38 მანეთი გამოიქვითება. გლეხმა 6 კვირაში წყვილი ხარით 62 მანეთი მოგება ნახა, ანუ დღიური -1.48 მანეთი გამოდის. მორების სატივე ადგილამდე ჩატანა ორ დღეში ხდებოდა (დრო დამოკიდებული იყო სატივის სიშორეზე). თითო მორს „წყლის კაცებზე“ 3 მანეთად ყიდდნენ, ე.ი. 60 მანეთს იღებდნენ, აქედან, ხის ზილეთის გადასახადი ერთი მანეთი ღირდა. „ტყის კაცების“ ბრიგადას 40 მანეთი რჩებოდა. ანუ „ტყის კაცებზე“ - თითოეულზე 10 მანეთი მოდიოდა 5-7 დღეში, ე.ი. დღიურად გამოდიოდა ორი მანეთი.**

ცნობილი მკვლევარის ზ. მუშუქუდიანის ცნობით, მდინარე მტკვარზე ყოველწლიურად

რად 1000-დან 2 ათასამდე ტივს აცურებდნენ. საინტერესოა მისივე შედგენილი ცხრილი, საიდანაც ირკვევა, რომ 1873 წელს 1780 ტივი ჩავიდა თბილისში, რომელზეც საშუალოდ 1860 კაცი მუშაობდა. ამოღებულმა თანხამ 85 500 მანეთი შეადგინა, 1894 წელს 4950 ტივიდან 74250 მანეთი განაწილდა 1550 კაცზე და ა.შ.

გაზეთი „დროება“ (1882 წ.№9) აქვეყნებს მეტივის წერილს, სადაც გულისტკივლით არის ნათქვამი: -**„ტივზე 3 თუშნიდან 5 თუშნამდე ზაუს იხდიდნენ, 15,25 თუშანი გვრჩებოდაო, ახლა რვა თუშანს გვაძლევენ, თვითონ 30 თუშანი რჩებათო**“. მკვლევარის ი. გოპაძის ცნობით 1879 წელს ბორჯომიდან თბილისში დაუცურებიათ 177 000 მორი. უგზოობით ან უამინდობით თუ შეფერხდებოდა სატივე მორების გამოტანა და მისი ტრანსპორტირება, თბილისში ხე-ტყის ფასი 200 პროცენტამდე მაღლა იწევდა“, - წერს სტეფანე გულიშამბაროვი.

თბილისში ჩატანილ ტივს, ყველას თავისი მუშტარი ჰყავდა. ზოგიერთი მეტივე ცდილობდა მუშტარის წართმევას, მაშინ გულმართალი და პატიოსანი მეტივეები ინწყებდნენ ტივის „ფასის შესმას“. „მეტიჩარა“ მეტივე ფასს დააგდებდა, ჩვენ რიგრიგობით ვაგდებდით ფასს და ასეთი ვაჭრობით „მეტიჩარა“ მეტივეს მუშტარს დაუფრთხობდით, -იხსენებდა 85 წლის, ლიკნელი ვ. გელაშვილი.

ხეობედ მეტივეებს თბილისამდე ხიფათიც ხშირად გადახდენიათ, მტკვრის მიმდებარე სოფლების თუ ქალაქების თავდაზნაურობა თავს ესხმოდა მეტივეებს, ხან მორებს ართმევდნენ, ხან უკანონო გადასახადს ახდენდნენ მათ საზღვრებში, მტკვარზე გადაადგილებისათვის.

ხეობელმა მეტივეებმა ბორჯომის მამულის მეპატრონეს, მიხეილ რომანოვს, მიმართეს დახმარებისთვის. ეს ისტორია ვიცოდი ძველი მეტივეებისაგან, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სანქტ-პეტერბურგის ცენტრალურ არქივში მუშაობისას, ნავანყდი მ. რომანოვის წერილს, რომლითაც **გორის და ტფილისის ზაზრების ხელმძღვანელებსა და მტკვრის გასწვრივ მცხოვრებ თავადაზნაურობას უკრძალავს ბორჯომის ხეობელი მეტივეების შევიწროებას და კატეგორიულად მოითხოვს, მეტივეები დაცული ყოფილიყვნენ ყოველგვარი შევიწროებისაგან. მხოლოდ ამ კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ შეწყდა მეტივეების შევიწროება. სხვათა შორის მიხეილ რომანოვს ხეობელმა მეტივეებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს მათი უფლებების დაცვისათვის და ხშირად აღფრთოვანებასაც გამოხატავდნენ მისი მისამართით.**

ტივის მართვა არც ისე ადვილი იყო, როგორც ზოგიერთებს წარმოუდგენიათ. ტივს მართავდა „მეტივე-მენინავი“, „მეტივე-მეობლოვე“ და „ტივის ხელის ნამკრე-



ლი“ - მეტივეობას დახელოვნებული პირები ეწეოდნენ, თითოეულ მათგანს დაოსტატების გრძელი გზა უნდა გაეცლო, ვიდრე ნამდვილ მეტივედ ჩამოყალიბდებოდა. უმთავრესი იყო „წყლის გზის“ დასწავლა, ორთაყვრის დაუფლება, ტივის შეკვრა-შეკოჭვა, „ნაცხვირის“ გაკეთება და სხვა. ტივის დაცურება შეეძლო იმ ადამიანს, რომელიც ბავშვობიდან აღზრდილი იყო წყლის სტიქიასთან ბრძოლაში, ასევე უნდა ჰქონოდა თვალის სიზუსტე და მკლავის ძალა. მეტივედ აღზრდა 15 წლიდან იწყებოდა. ახალგაზრდა ხეზე მუშაობას იწყებდა ხის გამოირიცხვით, შემდეგ სწავლობდა წნელების გრეხვას და ტივის შეკვრა-შეკოჭვას, ბოლოს საჭირო იყო „წყლის გზის“ დასწავლა და ორთაყვრის დაუფლება. ამ გზის გავლას ახალგაზრდა 3-4 წელს უნდებოდა. დვირელი ძველი მეტივე, 75 წლის მიხა გელაშვილი, იხსენებდა: - 15 წლის ვიყავი, ხელობის შესასწავლად კუჭუხიძეს მიმაბარეს და 18-19 წლისას ოსტატმა მითხრა: - **აბა, ორთაყვრის მოკიდე ხელო, გვერდით მომიდგე და მესმარებოდა ორთაყვრის მართვაში.**

თბილისში ორი სატივე ყოფილა. ერთი - ვერეს საბორნესთან, მეორე - რიყზე. როგორც კი „წყლის კაცები“ ტივის მორებს ამოშლიდნენ, მუშტარიც გაჩნდებოდა, ხანმოკლე ვაჭრობის შემდეგ მუშტარიც და მეტივეც მორიგდებოდნენ, ალაღად ნაშონ ფულს ძმურად გაიყოფდნენ, იქვე ბაზარში შევიდოდნენ, ბავშვებისთვის იყიდნენ „შაქარ-ყინულს“ და „ნკაპუნებს“ (ჩუსტებს), მეუღლისათვის თავშალს, საკაბეს, არც თავიანთი თავი ავიწყებდებოდათ, - შეიძენდნენ „აზიაცკებს“, ქუდებს, ჩოხაზე ვერცხლის ჯამარ-ხანჯალს შემოიჭრდნენ და ნაცნობ დუქნებს მიადგებოდნენ „მუშას (ბოთლ)“ ღვინოს შესაგდნენ, ცვრიან მწვადს დააყოლებდნენ. პირველი ჭიქით მეტივეების შემწეს, „წყლის ანგელოზს“ აღფრთქმებდნენ, ნაცნობ-მეგობრებს მოინახულებდნენ, ერთმანეთს გადაკოცნიდნენ და გამოუყვებოდნენ უკან, გზას ბორჯომისაკენ. ორ-სამ

დღეს დაისვენებდნენ და ისევ შეუდგებოდნენ ტივების შეკვრა-შეკოჭვას და გეზს თბილისისაკენ აიღებდნენ.

ტივი გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებისათვის, - ცოცხალი ძალის გადასაცვანად, საომარი მდგომარეობის დროს, დროსტარებისათვის, ქორწილისათვის და სხვა.

XI საუკუნეში ტივით უსარგებლია თბილისის ამირას ჯვარს. ტივით მგზავრობდნენ სამეფო ოჯახის წევრები. 1778 წელს, გიორგი უფლისწული ოთარ ამილახვარს ეწვია. ავად გამხდარა, უკან ცხენით კი არ წასულა, არამედ ტივზე დაუწვევნიათ და თბილისში ისე ჩაუყვანიათ.

1852 წელს, ქართველმა დრამატურგმა ზ. ანტონოვმა დაწერა კომედია „ტივით მგზავრობა ლიტერატორთან“, მასთან ერთად ტივზე ყოფილა პლატონ იოსელიანი და მხატვარი გაგარინი. ტივზე მოგზაურობა აღწერილი აქვს პლატონ იოსელიანს.

არანაკლებ საყურადღებოა, ხალხურ ზეპირსიტყვაობაში შემონახული ცნობები: **„ქარლში ტივი ავუშვი, ტივია ნაძვის ხისაო“, ანდა - „მეტივე ბევრი ჩაივლის, ქარელისა და სკრისაო“.**

ტივზე ქორწილსაც იხდიდნენ, ისტორიული დოკუმენტებით დგინდება, რომ დვირიდან, პატარძალი გუდაძე, ტივით ჩაუყვანიათ ყვებისში.


ტივთან დაკავშირებით ბორჯომის ხეობაში არაერთი ლექსი და სიმღერა ყოფილა.

„ხეობას ქალი ვითხოვე, ნამოვიყვანე ტივითა, ან კიდევ - „სტიოზე ტივი შევკარ, ტივი არის ნაძვის ხისა, ორთაყვრით მოვასხი, მოსასმენად არის რბილსა“, „ჩემო ტივო მაშინ გაქებ, რომ ქალაქში ჩასულიყო, იქ მუშტარი დაგხვეოდეს, სხვაზე მეტად გასულიყო“...

ძველ თბილისს ახსოვს მტკვარზე ტივები. „**მასხოვს მტკვარზე ტივები, მეტივეთა ფიქრიანი სახეები, ყარაოხელთა ქეიფი**“, - წერდა ერის სასიქდულო მხატვარი ლადო გუდიაშვილი, ხოლო სახალხო პოეტი, იოსებ გრიშაშვილი იხსენებდა, - **არ ვიცი, რომელი სანახაობა აჯობებდა იმ სურათს, როცა მთვარიან ღამეს ექვს ტივს ერთმანეთზე გადააბამდნენ და ქორწილს იხდიდნენ. აქეთ ნეფე-დედოფალი იყო მღვდლით, ევზიბითა და მაყრებით, იქით - ახალგაზრდა ბიჭები ორთაყვრისაზე ატრიალებდნენ მტკვრის ტალღებში. ერთ მხარეს ქეიფი და ცეკვა იყო დუღუკზე, მეორე მხარეს ცაცხლი ჩაჩხაზედა, რომელზეც წყლით სავსე კოჭობი იდგა ცოცხალი თევზისთვის**“.

დღეს ტივი ისტორიის საკუთრებაა, სამაგიეროდ ახალგაზრდობის გასართობ საშუალებად გადაიქცა სპორტული ნავეებით მტკვარზე სეირნობა, რისთვისაც მტკვარზე წყალვომარდობა იმართება. ნავტიკებით სეირნობისა და შეჯიბრის ყველაზე საუკეთესო ადგილად კი ისევ ბორჯომის ხეობა გამოიყენება.

ვალერიან ლომიძე.



თქვენით გვიყვარს ყველაფერი ქალბავს

ქალი, ქალია,
ქვეყნის თვალა,
ქვეყნის დინება,
ქვეყნის წყალია.
ზოგჯერ ხმალია,
ზოგჯერ ფარია,
ზოგჯერ ვარდია,
ზოგჯერ დარდია.
და მაინც ქალი,
მაინც ქალია,
ქვეყნის სიმღერა,
ქვეყნის თარია.

თქვენ გაგიმარჯოთ
ქვეყნად ქალბო,
მოკაშკაშენო,
ვით ვარსკვავებო.
თქვენით არსებობს
ქვეყნიერება,
სიყვარული და ბედნიერება.

გურამ ქანსელი-ივანიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ბორჯომი- მომავლის გულშემატკივარი

ბორჯომის ტრენინგ-ცენტრის მოსწავლე - **ლიზი ნაბაქაძე** მანჭიშვილის უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერებებს სწავლობს და სწავლის პირველ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს

-გერმანია საოცრად მოწონებდა - ლიზი უყვანა. აქ, ყველაფერი მკაცრი განრიგით მუშაობს. ზოგჯერ მათი მოწონებებზე მათხივს, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან მომწონს. ამ ქვეყანამ ახალი შესაძლებლობების კარი გაიხსნა და მომავალი სხვა თვალთ დაინახა. ენის სწავლაში ყველა მეხმარება, რაც ადაპტაციის პროცესს მიმართულებს. სწავლა საკმაოდ რთულია, გერმანია მაღალი სტანდარტების და მოთხოვნების ქვეყანაა, თუმცა, სწორედ ეს მაძლევს მოტივაციას. აქ სხვადასხვა კულტურას დიდ პატივს სცემენ, ინტერესით შეგუიხებიან საქართველოზე, ჩვენ ისტორიაზე, კულტურაზე და კულინარიაზე.

ბორჯომის ყოველთვის სიამაყით ვახსენებ. მიხარია, როცა ვინმე ჩემს მშობლიურ ქალაქს იცნობს. მეც სიხარულით ვაცნობ ყველაფერს, რითიც



ბორჯომია გამორჩეული, ვაცნობ მთებში ჩაფლულ ქალაქს და მინერალურ წყალს, რომლითაც თითოეული ბორჯომელი ამაყობს. ასევე, ყველას ვუყვები ბორჯომის ტრენინგ-ცენტრზე, რომელიც ჩემს ცხოვრებაში იმ დროს გამოჩნდა, როცა ძალიან მჭირდებოდა სიახლეები და ინტერესების გაფართოება. - **განაცხადა ლიზი ნაბაქაძე.**

დაბა ახალდაბაში, ბორჯომის ქუჩაზე, სანტარალურ გზაზე მდებარე ლობების რეაბილიტაცია დასრულდა



დაბა ახალდაბაში, ბორჯომის ქუჩაზე, ცენტრალურ გზაზე მდებარე ლობების რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტის ფარგლებში, რეაბილიტირდა ლობები და ჭიშკრები, ასევე მოეწყო გარე განათების სისტემა და შიდა, საუბნო გზა.

სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.


ბორჯომის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა საკურორტო სოფლებში და დაბებში ინფრასტრუქტურის მოწყობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

პარკის რეაბილიტაცია განახლდა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წალვერში, კლიმატური პირობების გამო შეჩერებული, პარკის რეაბილიტაცია განახლდა.

10 500 კვ.მ ფართობის პარკის რეაბილიტაცია მოიცავს საბავშვო და მოსასვენებელი სივრცეების მოწყობას, გარე განათებისა და საპარკო ინფრასტრუქტურის მოწოდებას. პარკში ასევე განთავსდება კაფე, კომერციული ობიექტები, ფოტოგადაღების ჯიხურები და სხვა.

წალვერის პარკის რეაბილიტაცია ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.



პაქა-ფშაველა — ღვართების სათავე

გოდერძი ჩოხელი ვაჟა-ფშაველაზე ამბობდა, ვაჟას ღმერთები ათამაშებდნენ ხელში, ხელიდან გაუვარდათ და ჩვენთან ჩამოვარდა, ამიტომ ბედნიერი ხალხი ვართო. - შენ საიდან გაჩნდი? - ვკითხე მე. მიპასუხა: - მე ვაჟა-ფშაველას ვეფექი პატარა ჯიბეში და მას გადმოუვარდიო. უცნაური ხალხი ვართ ქართველები, უფალი ვაჟას რომ გამოგიგზავნის, ფიროსმანს, გალაკტიონს, ილიას, გოდერძი ჩოხელს და ჩვენ კი... ეეჰ!

გივი ბერიკაშვილი.

სსიპ ბორჯომის №1 საჯარო სკოლა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კოლეგის, იზოლდა ლომიძის, შვილის, ამავე სკოლის კურსდამთავრებულის, მირანდა ქოსტაშვილის გარდაცვალების გამო, ოჯახს კი გამძლეობასა და უფლის შეწევნას უსურვებს!
ლომიძეების საგვარეულო დარბაზის გამგეობა, სამძიმარს უცხადებს და თანაუგრძნობს გამგეობის წევრს, ქალბატონ იზოლდა ლომიძეს, საყვარელი შვილის მირანდას გარდაცვალების გამო.
ქეთიონ ქართველიშვილი, ვიქტორ, აკაკი, ქეთი, გიორგი აბრამაშვილები, ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ შესანიშნავ პედაგოგს, იზო ლომიძეს, საყვარელი შვილის მირანდას გარდაცვალების გამო.

რა ჯდება საბანკეო სამუშაოსადმი?



ჩემ მეგობრებს განსაზღვრული. **ლიკა, 17 წლის:** -მიხარია, ჩემთვის მნიშვნელოვანი დღე. თუმცა, მთელი წლის მანძილზე მეთორმეტე კლასი, ისედაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც 4 საგანში ვემზადებოდი საგამოცდოდ. ფაქტურად, ჩემი მშობლების მთლიანი შემოსავალი ჩემი აბიტურიენტობის ბოლო წელს დაახლოვდა. ჩემმა დამ რამდენიმე წლის წინ დაასრულა სკოლა და მისი საბანკეო კაბა ძალიან მომწონდა, ამიტომაც ახალი კაბისთვის თანხას არ დავხარჯავ, ფეხსაცმელიც მაქვს. ბოლო ზარის ხარჯებისთვის და საბანკეო სუფრისთვის კი დაახლოებით 400-500 ლარამდე დავთვალე. ეს ისეთი დღეა, რომ თანატოლებს ვერ გამოაკლდები.

ლუკა, 18 წლის: -12 წელი ველოდებოდი ამ დღეს და ძალიან მიხდა გამორჩეული იყოს ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვისაც. ბოლო ზარისა და საბანკეო ხარჯებთან ერთად პირადად ჩვენ, კლასის პედაგოგებისთვის და გოგონებისთვის სიმბოლური საჩუქრები გვაქვს შერჩეული, რომელიც კლასის ბიჭებისგან სამახსოვროდ გვინდა დარჩეთ და როცა შეხვდეთ, გაგვიხსენონ. 1000 ლარამდე დავთვალე ყველა ხარჯი. ალბათ, ძვირია ერთი დღისთვის, თუმცა ეს დღე ხომ აღარ განმეორდება?

ნუცა, 17 წლის: -ბოლო ზარი, სალამოს სახეიმო ბანკეტი და ჩემ თანაკლასელებთან გამომშვიდობება დიდ ემოციებთან არის დაკავშირებული. ცხოვრების ახალ ეტაპს ვინყებ და ჯერ კიდევ სექტემბრიდან ვფიქრობდი, როგორი შეიძებოდა ყოფილიყო ეს დღე ჩემთვის. ჯერ, სკოლაში გვექნება ღონისძიება, შემდეგ, სალამოს რესტორანში გადავინაცვლებთ - სახეიმო ბანკეტზე. 800 ლარამდე დამიჯდება თითქმის ყველაფერი.

ნიტა, 18 წლის: -უბედნიერესი ვარ. ამ მნიშვნელოვანი დღისთვის ყველა საჭირო ხარჯისთვის დაახლოებით 800 ლარამდე თანხა დამჭირდება. ყველა თანატოლს წარმატებულ ცხოვრებას ვუსურვებ. **გამოიკითხა ნატალია მუსხაშვილი**

შვილის გარდაცვალება სამყაროს შლის!

სიტყვებს ეძებ და სიჩუმეს ნატრობ... დუმილში თითქოს გული გიქვავდება. ყველა განცდა სადღაც უსასრულობისკენ მიდის, როცა გეხმის, რომ დედას შვილი გარდაეცვალა.

- შვილის გარდაცვალება, სამყაროს შლის! შვილი დედას არ უნდა უკვდებოდეს და არ უნდა აცილებდეს უკანასკნელ გზაზე. - რატომ უფალო?! - ნუთუ მას ექნება პასუხი, ამ დიდ ტრაგედიაზე?

ბევრი კითხვა ირევა გონების ყველა უჯრედის დონემდე და პასუხაუცემელი რჩება; და მაინც, ფიქრი ლურჯი ცისა, ვარსკვლავების მიღმა იკარგება, რწმენით და იმედით.

მამასთან ნასულა მისი მირანდა! მაგრამ შვილი?

იმედთან სიტყვას დღეებია გონებაში ვეძებ და ვერ ვპოულობ.

ქალბატონ იზოლდა ლომიძის შვილის, მირანდა კოსტაშვილის გარდაცვალებამ უმძიმესი ტკივილით გულსა და გონებაში მთელი სიმძიმით გაირო.

ქალბატონი იზოლდა ამ მძიმე წუთებში



თქვენს მწუხარებას ვიზიარებთ! სულის სიმტკიცეს და მხნეობას გისურვებთ!

ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს მირანდას, უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს! **იზა იანვარაშვილი**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

ჩაღაქსია შიქლაბა ბაშოაქაშვილი ისეთი ნაილიაბი, როგორც

აპოკალიპსის თვალსაზრისით იარ იზიარება.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იხეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.

saari.ltd@gmail.com

borjomipress9@gmail.com

კორექტორი: ნანა კავშირშვილი

ჩაღაქსია: პალარიან ლომიძე